კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 216 (9992) | შაბათი, 11 სექტემბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).

გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება უხვი მოსავლისათვის (1-ლი გვერდი).

მომზადებული შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს პარტიული განათლების სისტემაში (მე-2 გვერდი).

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება (მე-2 გვერდი).

პრესის მიმოხილვა. — გავაძლიერთ საბჭოეთის ტური პროპაგანდა (მე-3 გვერდი).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. — წიგნი შემეცნების პროცესში პრაქტიკის როლის შესახებ (მე-3 გვერდი).

მისალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი, მიღებული საზეიმო სხდომაზე [illegible] (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

სრულიად ევროპის უშიშროებისათვის!

30 აგვისტოს საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ ხმის დიდი უმრავლესობით უარყო პარიზის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს დასავლეთ ევროპის ექვსი სახელმწიფოს (საფრანგეთის, დასავლეთ გერმანიის, იტალიის, ბელგიის, ჰოლანდიის, ლიუქსემბურგის) კარდაზშეული სამხედრო დაჯგუფების შექმნას ეგრეთწოდებული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ სახით. მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ამ გაერთიანების საფარით ადგენდნენ გეგმებს, რომელთა მიზანია გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება, რითაც იქმნება უშუალო საფრთხე ევროპის ხალხთა სიცოცხლისა და უშიშროებისათვის.

საფრანგეთის ეროვნული კრების მიერ „ევროპის არმიის“ შექმნის ამერიკული გეგმის უარყოფას ფართო კომენტარს უკეთებენ საერთაშორისო წრეებში. ამ გადაწყვეტილებას ყველგან აფასებენ, როგორც დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის პოლიტიკურ აქტს. საფრანგეთის ეროვნულ-პატრიოტულმა ძალებმა, ხოლო მათთან ერთად ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხებმა სერიოზული გამარჯვება მოიპოვეს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის ბრძოლაში.

„სახელმწიფოთა აღნიშნული სამხედრო დაჯგუფების შექმნის გეგმების ჩაშლა, — ნათქვამია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, რომელიც დღეს ქვეყნდება, — მნიშვნელოვანი მოვლენაა ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში“. ეს ფაქტი იმას მოწმობს, თუ რაოდენ შეგნებული აქვთ საფრანგეთში საფრთხე, რომელიც დაკავშირებულია დასავლეთ გერმანიის გადაქცევასთან მილიტარისტულ სახელმწიფოდ, რომლის ბედი გერმანელ რევანშისტთა ხელში იქნებოდა.

„ევროპის არმიის“ შესახებ ყბადაღებული პარიზის ხელშეკრულების გამოჩენის შემდეგ განვლილი წლების მანძილზე დამტკიცდა — და ფრანგი ხალხი დარწმუნდა ამაში, — რომ „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება“, რომელსაც ვაშინგტონის მითითებით ქმნიდნენ, საფრთხეს წარმოადგენდა საფრანგეთის სახელმწიფოს უშიშროებისა და დამოუკიდებლობისათვის. საფრანგეთს ეს ხელშეკრულება რომ დაემტკიცებინა, იგი დაკარგავდა საერთაშორისო ასპარეზზე დიდი სახელმწიფოს თავის კანონიერ ადგილს და დაქვეითდებოდა ეგრეთწოდებული იმ „მცირე ევროპის“ მონაწილე ერთ-ერთი ქვეყნის მდგომარეობამდე, რომელშიც მთავარ როლს დასავლეთგერმანელი მილიტარისტები შეასრულებდნენ.

საერთაშორისო აგრესიული წრეების მხრივ შანტაჟისა და მუქარის მიუხედავად, ფრანგმა ხალხმა უარყო დამდუმველი პარიზის ხელშეკრულება, გამოიჩინა რა ამ ბრძოლაში სიმამაცე და ეროვნული ღირსება. საფრანგეთის პატიოსანი პატრიოტები მტკიცედ იცავენ თავიანთი მშობლიური ქვეყნის როგორც დიდი სახელმწიფოს ინტერესებს. გამოვიდა რა ეროვნულ კრებაში, საფრანგეთის გამოჩენილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ედუარდ ერიომ განაცხადა: „რაც შემეხება მე, უნდა ვთქვა, რომ ევროპის თავდაცვითი გაერთიანება საფრანგეთის აღსასრულად მიმაჩნია. ... უნდა გამოინახოს ევროპის სადავო საკითხების მშვიდობიანი გადაწყვეტა და მომზადდეს არა ევროპის თავდაცვითი გაერთიანება, არამედ სხვა ევროპა, რომელიც დარაზმული იქნება და დაემყარება გერმანიასთან, აგრეთვე რუსეთთან დაახლოებას. ევროპის თავდაცვითი გაერთიანება ავანტიურა იქნებოდა. უარყავით იგი!“.

ეჭვი არ არის, რომ წინადადებანი, რომელიც საფრანგეთის ეროვნული კრების საპატიო თავმჯდომარემ გამოთქვა, შეიძლება გათვალისწინებულ იქნან ოთხი დიდი სახელმწიფოს თათბირის მსვლელობაში, რომლის მოწვევის შესახებ წამოყენებულია წინადადება საბჭოთა მთავრობის 4 აგვისტოს განცხადებაში. ეროვნულ კრებაში ერიოს გამოსვლა გაისმა როგორც ფრანგი ხალხის ფართო წრეების ნების გამოხატულება.

მაგრამ უკანასკნელი დღეების ფაქტები მოწმობენ, რომ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის მომხრენი ცდილობენ უგულებელყონ ფრანგი ხალხის ნება. დალუსმა მოითხოვა სასწრაფოდ მოწვეულ იქნას ატლანტიკის ბლოკის საბჭო და აგრძნობინა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები შეეცდებიან პირდაპირ შეიყვანონ დასავლეთი გერმანია ამ ბლოკში.

გამოვიდა რა 4 სექტემბერს რადიოთი, კანცლერმა ადენაუერმა გაბრაზებული კილოთი საყვედური გამოუცხადა საფრანგეთის ეროვნულ კრებას პარიზის ხელშეკრულების რატიფიკაციაზე უარისათვის და დამუქა, რომ საფრანგეთის შემდგომი წინააღმდეგობის შემთხვევაში ბონი ინგლისთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან დაიწყებს პირდაპირ მოლაპარაკებას ვერმახტის აღდგენის შესახებ. უცხოეთის პრესა იუწყება, რომ ასეთი მოლაპარაკება უკვე წარმოებს.

გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების იმავე მიზნებს შეესაბამება დასავლეთში წამოყენებული ის პროექტებიც, რომ მოიწვიონ „ცხრა სახელმწიფოს თათბირი“ პარიზის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების, აგრეთვე ინგლისის, კანადისა და ამერიკის შეერთებული შტატების შემადგენლობით, რათა „განიხილონ მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა იმის შედეგად, რომ საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ უარყო ხელშეკრულება ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შესახებ“.

გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება და რემილიტარიზებული დასავლეთ გერმანიის ჩაბმა სამხედრო დაჯგუფებაში, რა ნიღბითაც უნდა იფარებოდეს ეს ოპერაცია, განუზომლად გაადიდებდა ახალი ომის საფრთხეს ევროპაში და ამით ახალი მსოფლიო ომის საფრთხესაც. ევროპის ხალხები, მათ შორის ფრანგი ხალხიც, ვერ შეურიგდებიან ამ გეგმებს, რადგან იციან, რომ ახალი ომი განუზომლად დიდ მატერიალურ და ადამიანთა მსხვერპლს მოიტანს, ვიდრე წარსული ომები, ევროპის ხალხთა შეშფოთება მით უფრო გამართლებულია, რომ ატომის, წყალბადისა და სხვა სახეობის იარაღის გამოჩენა, რომლის აკრძალვასაც ეწინააღმდეგებიან მშვიდობის მტრები, ახალ ომს კიდევ უფრო საშინელსა და დამანგრეველს გახდიდა.

არა აქვთ რა რაიმე სერიოზული არგუმენტი, რომლითაც მასების თვალში გაამართლებენ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების სახიფათო პოლიტიკას, მისი მომხრენი ხშირად საქმეს ისე წარმოგვიდგენენ, თითქოს დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია და მისი ჩაბმა დასავლეთის სახელმწიფოთა ამა თუ იმ სამხედრო ბლოკში განამტკიცებს დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციას გერმანიის საკითხზე საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებაში. „მაგრამ ასეთ მტკიცებას არავითარი ნიადაგი არ მოეპოვება, — აღნიშნულია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში. — სინამდვილეში საქმე სწორედ პირიქით არის. დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია და მისი ჩაბმა ამა თუ იმ სამხედრო დაჯგუფებაში გადაულახავ დაბრკოლებას უქმნის გერმანიის გაერთიანებას და, მაშასადამე, შეუძლებელს ხდის შესაბამისი შეთანხმების მიღწევას გერმანიის საკითხზე“.

აქედან სრულიად ურყევად გამომდინარეობს, რომ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციისა და დასავლეთის სახელმწიფოთა სამხედრო ბლოკში მისი ჩაბმის შემთხვევაში გერმანელი ერი ორ ნაწილად გათიშული დარჩება გაურკვეველად ხანგრძლივი დროით, რაც თავისთავად საშიშ მდგომარეობას შექმნის ევროპის მშვიდობის საქმისათვის და ეწინააღმდეგება გერმანელი ხალხის ბუნებრივ მისწრაფებას ეროვნული გაერთიანებისადმი.

ამასთან დაკავშირებით უადგილო არ იქნება აღვნიშნოთ, რომ შორსმჭვრეტელი პოლიტიკური მოღვაწეები, რომელთათვის ძვირფასია თავიანთი ერის ინტერესები, მშვიდობისა და უშიშროების საქმე, „ევროპის თავდაცვითს გაერთიანებას“ სამართლიანად უწოდებენ ომისაკენ მიმავალ გზას.

მშვიდობის მომხრენი სახელმწიფოთა განკერძოებული სამხედრო დაჯგუფებების შექმნის პროექტებს, რომელთა განხორციელებას გულმოდგინედ ცდილობს ამერიკის დიპლომატია, უპირისპირებენ სხვა პოლიტიკის განხორციელების გეგმას, პოლიტიკისა, რომელიც შეესაბამება ევროპის მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებს, — სრულიად ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის გეგმას.

ევროპის უშიშროების ინტერესები, ისევე როგორც გერმანელი ხალხის ინტერესები, ხაზგასმით არის აღნიშნული სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, მოითხოვს, რომ გერმანიის საკითხი გადაიჭრას ერთიანი, მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული გერმანიის სახელმწიფოს შექმნის საფუძველზე, როგორც ეს გათვალისწინებულია სახელმწიფოთა შესაბამისი შეთანხმებებით. არ შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის პრობლემაზე შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობანი უკვე ამოწურულია. სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით, საბჭოთა მთავრობამ წინადადებით მიმართა საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს მიმდინარე წლის აგვისტო-სექტემბერში მოწვეულ იქნას ოთხი სახელმწიფოს ახალი თათბირი და ამ თათბირზე განხილულ იქნას გერმანიის საკითხი, რაზეც სამი სახელმწიფოს მთავრობებისაგან დღემდე კიდევ არ არის მიღებული პასუხი.

გერმანიის საკითხის გადაწყვეტა მშვიდობისმოყვარულ და დემოკრატიულ საწყისებზე გერმანიის ეროვნული გაერთიანების საფუძველზე შეესაბამება ევროპის ყველა სახელმწიფოს, მათ შორის საფრანგეთის უშიშროების ინტერესებს, საფრანგეთისა, რომლის როგორც დიდი სახელმწიფოს ბედი განუყოფელია მთლიანად ევროპის ბედისაგან. მხოლოდ ევროპის მშვიდობიანი განვითარება, ერთიანი და მშვიდობისმოყვარე გერმანიის შექმნით, უზრუნველყოფს საფრანგეთისათვის დიდი სახელმწიფოს ღირსეულ ადგილს სხვა დიდ სახელმწიფოთა შორის. საბჭოთა კავშირი მხარს უჭერდა და მხარს უჭერს ძლიერ და დამოუკიდებელ საფრანგეთს, რადგან მხოლოდ ასეთი საფრანგეთი არის ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების მნიშვნელოვანი ფაქტორი.

როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უმნიშვნელოვანესი პრობლემები არ შეიძლება დადებითად გადაწყდეს სეპარატულ, ვიწრო-ჯგუფურ „თათბირებზე“, სადაც განიხილავენ სამხედრო დაჯგუფებათა შექმნის საკითხს და ეძებენ მილიტარისტული დასავლეთ გერმანიის ხელახლა შეიარაღების გზებს. ხალხთა მშვიდობა და უშიშროება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ ისეთი პოლიტიკის განხორციელების გზით, რომელიც ემყარება სხვადასხვა სოციალური სისტემების საერთაშორისო თანამშრომლობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს.

შედეგები ყენევის თათბირისა, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში, დამაჯერებლად მოწმობენ, რომ თუ დაინტერესებულ სახელმწიფოებს ნამდვილად სურთ, შეიძლება მოუწესრიგებელ პრობლემებზე მიღწეულ იქნას შეთანხმება, რომელიც შეესაბამება მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს.

„რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, — ნათქვამია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, — იგი კვლავაც ყოველივე შესაძლებელს გააკეთებს, რათა მიღწეულ იქნას შეთანხმებანი გადაუჭრელ საერთაშორისო პრობლემებზე, მათ შორის გერმანიის საკითხზე, ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის, ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისა და სახელმწიფოთა შეიარაღების შემცირების საკითხებზე, საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისათვის“.

„პრავდის“ 10-IX მოწინავე.

ჩვენს დიად სამშობლოში

★

ტანკისტის დღის აღსანიშნავად

26 სექტემბერს საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები აღნიშნავენ ტანკისტის დღეს.

დედაქალაქის ბევრ საწარმოში, დაწესებულებაში, სასწავლებელში, სამხედრო აკადემიაში და მოსკოვის გარნიზონის ჯარის ნაწილებში გაიმართება ლექციები და საუბრები დიდი სამამულო ომის წლებში ჯავშანსატანკო ჯარების თვალსაჩინო დამსახურებაზე, ტანკისტების საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაზე.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ლექტორიუმში გაიმართება საბჭოთა ტანკისტებისადმი მიძღვნილი საღამო, გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკსა და დედაქალაქის სხვა პარკებში გაიმართება შეხვედრები გმირ ტანკისტებთან და სახალხო სეირნობანი.

გაძლიერდა ექსკურსანტების ნაკადი საბჭოთა არმიის ცენტრალურ მუზეუმში. აქ შეკრებილია დიდძალი მასალა, რომელიც მოგვითხრობს საბჭოთა შეიარაღებული ძალების ისტორიის შესახებ. ღირსშესანიშნავი თაობებისათვის მუზეუმს ახალი ექსპონატები შეემატა. ამ ექსპონატებს შორის არის ფოტოსურათები, დოკუმენტები, ფურცლები, საბრძოლო ფურცლები, დროშები და ტანკების მოდელები.

ტანკისტის დღისათვის მასობრივი ტირაჟებით გამოიცა ფერადი პლაკატები. (საკდესი).

ახალი ნიმუშის საათები

საბჭოთა კავშირის საათის მრეწველობამ მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად გაადიდა პროდუქციის გამოშვება. მაჯისა და ჯიბის საათების ასორტიმენტი აყვანილია 34 სახეობამდე. ახლა საათის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში შემუშავებულია გარეგანი გაფორმების 25 ახალი ვარიანტი.

შექმნილია მამაკაცის მაჯის საათ „გამარჯვების“ ათზე მეტი ნიმუში, რომლებიც განირჩევა თავისებური ფორმითა და მოყვანილობით. მათ შორის არის ოვალურ-ფორმიანი და ოქროს ფერადი საათები, კვადრატული მოოქრვილ-ორპუსიანი საათები. სიახლეს წარმოადგენს საათები ამოზნექილი ციფრებით, ისრებითა და ინდექსებით, რომლებიც დაფარულია მუდმივი მოქმედების მანათობელი მასით.

ქალის საათს „ვარსკვლავს“ უფრო ლამაზი მრგვალი ფორმა მიეცა. ახალი ნიმუშის საათებს შორის არის მცირეგაბარიტიანი საათები „განთიადი“ კვადრატულ მოოქრვილ კორპუსში.

შემუშავებულია ჯიბის საათების გარეგანი გაფორმების მთელი რიგი ვარიანტები. მათი მოყვანილობა განირჩევა დიდი სილამაზითა და ორიგინალობით. (საკდესი).



სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. პავილიონი „მიწათმოქმედება“. ფოტო ნ. გრანოვსკისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

★

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

— ხაერობა სამმართველოს ცნობებით, სოფელ კოლცოვკის კლუბთა მთელმა საზოგადოებამ ყველაზე მოსავლიან 1913 წელს მიიღო 13.800 ფუთი მარცვლეული. ახლა იმავე მინდვრებზე კოლმეურნეები იღებენ ექვსჯერ მეტ მარცვლეულს.

ასე დაიწყო თავისი სიტყვა ჩუვაშეთის ასსრ ვურნარის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სერგი ქსენოფონტეს-ძე კოროტკოვმა. როცა სოფელ კოლცოვკაში ეს სასოფლო-სამეურნეო არტელი მოეწყო, ამ არტელში პირველი ჩაეწერა სერგი ქსენოფონტეს-ძე. ამ არტელს იგი ჩაუდგა სათავეში და მას შემდეგ ხელმძღვანელობს მეურნეობას. სოციალისტური შრომის გმირის ოქროს მედალი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ნიშანი უმუშევნებს მკერდს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

„მარცვლეულის“ პავილიონში ფართო ჩვენებით არის წარმოდგენილი სტალინის სახელობის მეთესლეობის მოწინავე კოლმეურნეობა. სწორედ მის სტენდთან შეხვდნენ 27 აგვისტოს ექსკურსანტები სასოფლო-სამეურნეო არტელის თავმჯდომარეს.

განაგრძობს რა საუბარს, ამხ. კოროტკოვი ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ განუხრელად იზრდება მოსავლიანობა კოლმეურნეობაში მიწათმოქმედების კულტურის გაუმჯობესების მეოხებით.

— თუ საგაზაფხულო ხორბლის საშუალო მოსავალი 1947-1949 წლებში ჰექტარზე 27,9 ცენტნერს უდრიდა, 1950-1953 წლებში მან 32 ცენტნერს მიაღწია. ხუთწლედის დამლევისათვის, — ამბობს კოროტკოვი, — ამ კულტურის მოსავალს ჰექტარზე 50 ცენტნერამდე ავიყვანთ.

— თქვენ შავმიწაანი ნიადაგი არა გაქვთ და რეალურია თუ არა ასეთი მოსავალი? — ჰკითხა ერთ-ერთმა ექსკურსანტმა.

მოსავალი დამოკიდებულია არა მარტო ნიადაგზე, არამედ ადამიანებზეც, რომლებიც მას ამუშავებენ. რას ვაკეთებთ ჩვენ ნაყოფიერების გადიდებისათვის? უწინარეს ყოვლისა, ვცდილობთ რაც შეიძლება უკეთ გავანყოიეროთ ჩვენი მინდვრები.

— არ შეიძლება შაბლონურად მუშაობა, — ამბობს ს. ჭ. კოროტკოვი, — ჩვენ დიდი ხანია უარი ვთქვით კოლმეურნეობაში სუფთა ანეულზე და მას ვიყენებთ კარტოფილისა და სხვა კულტურების დასარგავად. კოლმეურნეობაში მდელოების უქონლობისას კარტოფილმა განამტკიცა მეცხოველეობის საკვები ბაზა. გარდა ამისა, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, კარტოფილი საუკეთესო წინამორბედია საგაზაფხულო ხორბლის თესვისათვის. შარშან, მიუხედავად არახელსაყრელი პირობებისა, ხორბლის ნათესებმა კარტოფილის შემდეგ სოციალისტური შრომის გმირის ამხ. ამანინის ბრიგადაში თვითეულ ჰექტარზე მოგვცა 32 ცენტნერი მარცვლეული.

კარგად განვითარებული მარცვლეულის მეურნეობის ბაზაზე ჩვენში მეცხოველეობაც ძლიერდება. საკოლმეურნეო ფერმებში ახლა არის 500 სულზე მეტი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, ათასამდე ღორი და ბევრი ცხვარი.

★

გამოვიდა პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელო

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა სახელმძღვანელო „პოლიტიკური ეკონომია“. სახელმძღვანელო დაწერა ეკონომისტთა კოლექტივმა აკადემიკოს კ. ვ. ოსტროვიტიანოვის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ დ. ტ. შეპილოვის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ლ. ა. ლეონტიევის, ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ი. დ. ლაპტევის, პროფესორ ი. ი. კუზმინოვის, ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის ლ. მ. გატოვსკის, აკადემიკოს პ. ფ. იუდინის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ა. ი. პაშკოვის, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის ვ. ი. პეტრესლეგინის შემადგენლობით. სახელმძღვანელოში შეტანილი სტატისტიკური მასალების შერჩევასა და დამუშავებაში მონაწილეობა მიიღო ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორმა ვ. ნ. სტროვსკიმ.

სახელმძღვანელო შეიცავს სამ განყოფილებას: პირველი — „წარმოების კაპიტალიზმამდელი წესები“, მეორე — „წარმოების კაპიტალისტური წესი“, მესამე — „წარმოების სოციალისტური წესი“.

სახელმძღვანელო გამოშვებულია მასობრივი ტირაჟით. (საკდესი).

ყამირ მიწებზე სპეციალისტები მიდიან

აკმოლინსკი, 7 სექტემბერი. (საკდესი). ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში ყოველდღე ჩამოდიან სპეციალისტები, რომლებმაც დაამთავრეს ჩვენი ქვეყნის უმაღლესი და საშუალო სასწავლებლები. მათ შორის არიან ინჟინრები, მექანიკოსები, მშენებლები, აგრონომები, მიწათმომზომები, ჰიდროტექნიკოსები, აგროტექემლიორატორები, ზოოვეტმუშაკები, ბუხგალტრები.

გუშინ ატბასარის საბჭოთა მეურნეობების ტრესტში მუდმივ სამუშაოდ ჩამოვიდა ახალგაზრდა აგრონომთა ჯგუფი, რომლებმაც დაამთავრეს მაიკოპის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.

ბევრი სპეციალისტი ჩამოვიდა ოლქის საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში ალმა-ატის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტიდან, მოსკოვის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტიდან და ხარკოვის სამშენებლო ინსტიტუტიდან.

მანქანათმშენებლები აჩქარებენ პროდუქციის გამოშვებას

ნიკოპოლი, 8 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ლენინის სახელობის ნიკოპოლის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა ჩვენი ქვეყნის ახალმშენებლობებს გაუგზავნა კოშკურ ამწეთა დიდი პარტია, თვითეული ამწის დამზადების ვადა შარშანდელთან შედარებით შემცირებულია ხუთი დღით. წარმატება შედეგია მანქანათმშენებელთა ბრძოლისა ნაკეთობათა შრომატევადობის შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის.

გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება უხვი მოსავლისათვის

ვაღდებულებები იკისრეს

სტალინირი. (საკ. კორ.). მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკების რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა მიმართვა სწრაფად გავრცელდა ოლქის მექანიზატორთა შორის. სატრაქტორო ბრიგადებში მოეწყო მიმართვის განხილვა. მექანიზატორებმა ახალი კონკრეტული ვალდებულებანი იკისრეს. სტალინირის მტს-ის ახალგაზრდული მეორე სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელმა ა. ხაჩიროვმა მიმართვის გაცნობისას განაცხადა: — საშემოდგომო ხვნა 400 ჰექტარზე ჩავატარეთ, გეგმა კი 360 ჰექტარის ითვალსწინებდა. ტრაქტორისტები ი. ხუბაევი და ა. ბიცხოევი დღიურ დავალებებს ორმაგად ასრულებენ. ამ დღეებში დავიწყებთ თესვას. წელს უნდა დავთესოთ 600 ჰექტარი. ვალდებულებას ვკისრულობთ 100 ჰექტარით გადავაჭარბოთ გეგმას.

ზნაურის მტს-ის მეექვსე სატრაქტორო ბრიგადის მექანიზატორებს მიმართვა გააცნო მტს-ის პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. ი. ნადირაძემ. ამ ბრიგადაში ტრაქტორისტებად მუშაობენ სამი ძმა თედეევები. ყველა მათგანი 150-200 პროცენტით ასრულებს დავალებებს. მათ ვალდებულება იკისრეს 150 ჰექტარის ნაცვლად ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად დათესონ 250 ჰექტარი. გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე ტრაქტორისტებმა ა. ყაზახაშვილმა და ლ. მაისურაძემ.

ქსუ.ის მტს-ის მეორე სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორისტმა ნ. მაისურაძემ, რომელიც სოფელ ერედვის კოლმეურნეობის მინდვრებში მუშაობს, ვალდებულება იკისრა გეგმით გათვალისწინებული 150 ჰექტარი მთლიანად ვიწრო მწკრივებად და ჯვარედინად დათესოს. კონკრეტული სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე ლენინგორის მტს-ში.

ვადამდე და მაღალხარისხოვნად

სილნაღი. (საკ. კორ.). წნორის მტს-ის სახელოსნოში მექანიზატორები შეიკრიბნენ. მათ აგიტატორებმა გულდასმით გააცნეს საქართველოს მტს-ების მუშაკების რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა მიმართვა. ამ თაოსნობას წნორელი მექანიზატორები პატრიოტული აღფრთოვანებით შეხვდნენ და ვალდებულება იკისრეს საშემოდგომო ხვნა-თესვა ვადამდე მაღალი ხარისხით შეასრულონ.

მექანიზატორებმა ახალი ძალით გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება. სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც მიეჭიელ კაკაშვილი ხელმძღვანელობს, საშემოდგომოდ უკვე მოხნა 500 ჰექტარი ნაცვლად 360 ჰექტარისა. ბრიგადა გაგრძობს ხვნას და დიდი გადაჭარბებით ასრულებს დღიურ დავალებას. გაძლიერდა აგრეთვე სათესლე ხორბლის დამხარისხებელი მანქანის წარმადობა.

— მიმართვის პასუხად, — განაცხადა ტრაქტორისტმა ვ. ბაგალიშვილმა, — უფრო ვაძლიერებ მუშაობას. ამ დღეებში „დტ-54“ მარკის ტრაქტორით დღეში ვხნავ 12 ჰექტარს ნაცვლად 5 ჰექტარისა. ვალდებულებას ვკისრულობ სოფელ საქობოს კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობაში ვადაზე სამი დღით ადრე დავამთავრო ხვნა, ხორბალი დავთესო მხოლოდ ჯვარედინად და ვიწრომწკრივებად.

დანერგავენ მალცევის მეთოდს

ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი უძველესი მტს-ის — აგარის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მექანიზატორები ენერგიულად ემზადებიან თავთავიანი მარცვლეული კულტურების საშემოდგომო თესვისათვის. წარმატებით მიმდინარეობს ხვნა, ნიადაგის თესვისწინა დამუშავება.

აქაურ მექანიზატორებს ახალი ძალები შემატა მტს-ების მუშაკების რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა მიმართვამ საქართველოს მტს-ების ყველა მუშაკის, კოლმეურნეებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისადმი სოფლის მეურნეობის ყველა დარგის გადამწყვეტი აღმავლობისათვის.

მტს-ის კოლექტივის საერთო კრებაზე, რომელიც მიმართვის განხილვას მიეძღვნა, პირველმა აიღო სიტყვა მე-10 სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა ამხ. შ. მაისურაძემ. მან ვალდებულება იკისრა სოფელ მოხისის კოლმეურნეობაში ჯვარედინად დათესოს 300 ჰექტარი ნაცვლად 260-სა და შეჯიბრებაში გამოიწვია მე-11 სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი ამხ. გ. ნაკაშიძე.

მტს-ის მუშაკთა ვალდებულებაა საშემოდგომო თესვა ჩაატარონ 4.400 ჰექტარზე, აქედან ჯვარედინად დათესონ სამი ათასი ჰექტარი, რაც 500 ჰექტარით აღემატება მიცემულ დავალებას, თესვა დაამთავრონ ვადაზე 5 დღით ადრე — 15 ოქტომბრისათვის, საშემოდგომოდ ნათესი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 16 ცენტნერი ხორბალი, ნაცვლად 15-სა, სოფელ ქვენატკოცის კოლმეურნეობაში მოაწყონ ნოვატორ ტ. მალცევის მეთოდის დანერგვა და ამავე კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმებში განახორციელონ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიზნით აგარელებმა გამოიწვიეს ხაშურელი მექანიზატორები.

ვ. ბურგენიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

აღმავლობის გზით

თეთრი წყაროს. („კომუნისტის“ კორ.). ასურეთელმა მექანიზატორებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი საქართველოს მტს-ების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა მიმართვას, რომელიც მათ გააცნო პარტიიუროს მდივანმა კ. წულუკიძემ.

პირველი იღებს სიტყვას მეორე სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი ა. მიკირტუმაშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ ბრიგადის თვითეული მექანიზატორი ენერგიულად იბრძოლებს დავალების ვადამდე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის. ბრიგადა წლიურ გეგმას 15 სექტემბრამდე გაანაღდებს. გეგმით გათვალისწინებული 600 ჰექტარიდან ჯვარედინად დათესავს 550 ჰექტარს.

პირველი სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელმა ა. დალაქიშვილმა ვალდებულება იკისრა 700 ჰექტარიდან ჯვარედინად დათესოს 600 ჰექტარი, ხოლო 215 ჰექტარის ნაცვლად მზრალად მოხნას 240 ჰექტარი. ტრაქტორისტი ა. კენკეზაშვილი იბრძვის იმისათვის, რომ წლიური გეგმით გათვალისწინებული 358 ჰექტარის ნაცვლად ტრაქტორის დატვირთვა აიყვანოს 650 ჰექტარამდე და დაზოგოს სამი ტონა საწვავი. ტრაქტორისტ ო. ბგროზაშვილის ვალდებულებაა მიაღწიოს ტრაქტორის დატვირთვას 500 ჰექტარამდე ნაცვლად 398 ჰექტარისა და დაზოგოს ერთი ტონა საწვავი.

მტს-ის კოლექტივის მიერ ნაკისრ ვალდებულებებში ნათქვამია: საშემოდგომოდ ვადაზე ადრე და მაღალი ხარისხით დათესავთ 5.300 ჰექტარ ხორბალს, აქედან ჯვარედინად — 4.000 ჰექტარს. 1.500 ჰექტარის ნაცვლად მზრალად მოვხნავთ 2.000 ჰექტარს. უკვე მოხნულია 1.300 ჰექტარი მზრალი.

მომზადებული შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს პარტიული განათლების სისტემაში

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეების რესპუბლიკურ თათბირზე საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში

1 ოქტომბერს იწყება ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში. წელს კომუნისტების სწავლება იწარმოებს პარტიული პროპაგანდის იდეური დონის შემდგომი ამაღლების, კომუნისტთა პოლიტიკური განათლების ორგანიზაციაში წინათ არსებულ ბიუროკრატიულ დამახინჯებათა ბოლომდე და სავსებით დაძლევის, სწავლებაში ხებაყოფლობითი პრინციპის მტკიცედ და თანმიმდევრულად განხორციელების ნიშნით. ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობის განხილვას მიეძღვნა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეების რესპუბლიკური თათბირი, რომელიც 8 სექტემბერს შედგა საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში.

თათბირი გახსნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ნ. ჯახრაკიამ. თათბირის მონაწილენი გამოდიოდნენ და ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთი მუშაობის გამოცდილებას ახალ სასწავლო წელს პარტიული განათლების ქსელის დაკომპლექტებაში, ლაპარაკობდნენ იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც პარტიული ორგანიზაციები იღებენ პროპაგანდისტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

თათბირის მონაწილეთა გამოსვლები მოწმობდნენ, რომ, ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებებს, საქართველოს პარტიული ორგანიზაციები ახლა უფრო ღრმად სწვდებიან პარტიული პროპაგანდის შინაარსს, უფრო აქტიურად და შემოქმედებითად ეწევიან ბრძოლას ფორმალიზმისა და მედავითნეობის დაძლევისათვის, კომუნისტური მშენებლობის გადაუდებელი ამოცანების გადაწყვეტასთან პროპაგანდის განუყოფელი კავშირისათვის. გაწეულია დიდი მუშაობა პარტიულ პროპაგანდაში წინათ არსებულ ფორმალურ-ბიუროკრატიულ დამახინჯებათა აღმოფხვრისათვის.

პარტიული განათლების ქსელში გასული სასწავლო წლის დამთავრების პერიოდშივე პარტიულ ორგანიზაციებში მოეწყო წინასწარი გასაუბრებანი კომუნისტებთან იმის შესახებ, თუ სწავლების რა ფორმა სურთ აირჩიონ. კომუნისტებთან საუბრები დღემდე გრძელდება. პარტიული ორგანიზაციები ცდილობენ ღრმად გაერკვნენ, რა ინტერესებთ კომუნისტებს, და როგორ მოეწყოს პარტიული განათლების ქსელი, რომ იგი სავსებით აკმაყოფილებდეს მათს მოთხოვნილებებს. ამის შედეგად, როგორც განაცხადა თათბირზე პარტიის გუდაუთის რაკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ვ. კვარჩელიამ, რაიონში წრეებისა და პოლიტსკოლების რაოდენობა ერთიორად შემცირდა. აჭარაში 464 წრიდან და პოლიტსკოლიდან, რომლებიც შარშან არსებობდნენ, წელს სულ 244 დარჩა. კომუნისტები ახლა ძირითადად იმეცადინებენ პოლიტსკოლებში და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეებში.

კომუნისტების მნიშვნელოვანმა ნაწილმა თითქმის ყველგან განაცხადა სურვილი მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შესათვისებლად იმუშაოს პოლიტიკური ლიტერატურის დამოუკიდებლად კითხვის გზით. პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მოსამზადებელი მუშაობა გაიჩაღეს იმ კომუნისტებისათვის პრაქტიკული დახმარების გასაწევად, რომლებიც პოლიტიკურ თვითგანათლებაზე მუშაობენ.

ამასთან ერთად, როგორც თათბირის მონაწილენი აღნიშნავდნენ, პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის მზაღების მიმდინარეობაში გამოვლინებული ცალკეული ფაქტები მოწმობენ, რომ ჯერ კიდევ ყველა პარტიულ ორგანიზაციაში როდი აიღეს ხელი პარტიული პროპაგანდის ხელმძღვანელობის მანკიერ მეთოდებზე. პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. გ. მესხიძემ განაცხადა, რომ ბათუმის რაიონის სოფელ ჩაისუბნის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობისა და სოფელ აჭარისწყლის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციებში კომუნისტები მათთან რაამე წინასწარი საუბრის გაუმართავად და მათი სურვილის წინააღმდეგ შეიტანეს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთა სიებში.

უხეში შეცდომა დაუშვა პარტიის გორის რაკომმა, რომელმაც კომუნისტები წრეებში, პოლიტსკოლებსა და პოლიტიკურ განათლებაზე დამოუკიდებლად მომუშავეთა შემადგენლობაში გაანაწილა მხოლოდ იმ ცნობების საფუძველზე, რომლებიც პარტიულმა ორგანიზაციებმა წარადგინეს გასული სასწავლო წლის დამთავრებისას. ამან ის გამოიწვია, რომ რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში არსებითად არავითარ მზადებას არ ეწეოდნენ ახალი სასწავლო წლისათვის, მოელოდნენ, როდის მისცემდა მათ პარტიის რაიკომი მითითებას იმის შესახებ, თუ რა წრეებსა იმუშავებდნენ პარტორგანიზაციაში, რომელი კომუნისტი სად იმეცადინებდა. სწავლების ასეთი შეუწყნარებელი, ზემოდან რეგლამენტაცია გამოწვეულია იმით, რომ ჯერ კიდევ გადალახული არ არის იმისადმი რწმენის უქონლობა, რომ კომუნისტს თვითონ შეუძლია აირჩიოს თავისთვის პარტიული განათლების შესაფერი ფორმა.

გორში დაშვებული შეცდომები იმასაც მოწმობენ, რომ აქ ვერ გაიგეს, რომ კომუნისტების მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შესათვისებლად სისტემატური მუშაობის შესახებ წესდების მოთხოვნათა შესრულება გულისხმობს პარტიულ ორგანიზაციაში ისეთი ვითარების შექმნას, რომელიც მუდამ ბიძგებდა კომუნისტს ზიძგს სწავლებისათვის, განუვითარებდა მას ინტერესს ხეცადინეობისადმი. ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა პარტიული ორგანიზაცია აქტიური ცხოვრებით ცხოვრობს, როცა კომუნისტები მოხსენებებითა და ლექციებით გამოდიან, მონაწილეობენ გასაუბრებებში თეორიულ საკითხებზე, მუშაობენ აგიტატორებად და ასრულებენ მრავალმხრივ პარტიულ დავალებებს. პარტიული კომიტეტების ისეთი წვრილმანი მეურვეობა, როგორიც გორის რაიონში დაუშვეს, ახშობს პირველადი პარტიული ორგანიზაციების ინიციატივასა და თვითმოქმედებას და წარმოადგენს შეუწყნარებელ დამახინჯებას პარტიული პროპაგანდაში. გორის რაიკომს ამ შეცდომაზე მიეთითა.

მთელი პროპაგანდისტული მუშაობის დონე განისაზღვრება უწინარეს ყოვლისა ლექტორთა, პროპაგანდისტთა და კონსულტანტთა კადრებით. როგორც თათბირის მონაწილენი აღნიშნავდნენ, წრეებისა და პოლიტსკოლების ქსელის შემცირებამ შესაძლებელი გახადა მომავალი ახალი სასწავლო წლისათვის უფრო გამოცდილი პროპაგანდისტების შერჩევა. მათგან 700 მეცადინეობდა ზაფხულის ერთთვიან კურსებზე საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან.

პარტიის ბევრი საქალაქო და რაიონული კომიტეტი, ემზადება რა ახალი სასწავლო წლისათვის, მტკიცედ გარდაქმნის პროპაგანდისტთა სემინარების მუშაობას, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პროპაგანდისტების მეთოდური დახელოვნების საკითხებს. მაგალითად, აჭარაში, პარტიის გუდაუთის, მახარაძის და სხვა რაიკომებში პროპაგანდისტთა სემინარებზე ამირჩევენ ფართოდ განახორციელონ წრეებისა და პოლიტსკოლების საუკეთესო ხელმძღვანელთა მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება, შემოიღონ ხელმძღვანელი რაიონული მუშაკების მოხსენებათა მოსმენა იმ ამოცანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ რაიონს დაუსახეს, საკოლმეურნეო წარმოების ნოვატორთა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა გამოსვლები.

მოხსენებები და ლექციები პროპაგანდისტებისათვის, აღნიშნავდნენ თათბირის მონაწილენი, თეორიისადმი შემოქმედებითი მიდგომის, ცხოვრებასთან კავშირის მაგალითს უნდა წარმოადგენდნენ. ამიტომ კარგი იქნება, რომ საქართველოს კ პ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება უფრო ხშირად გზავნიდეს რაიონებში პროპაგანდისტების წინაშე გამოსასვლელად მაღალკვალიფიციურ ლექტორებსა და მომხსენებლებს.

პარტიის მახარაძის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ნ. წიტაიშვილმა წინადადება წამოაყენა, რომ პროპაგანდისტები მოსკოვში, სრულიად საკავშირო საოფლო-სამეურნეო გამოფენაზე იგზავნებოდნენ. ეს დაეხმარება მათ, — თქვა მან, — იმაში, რომ უკეთ, საქმის ცოდნით გაუწიონ პროპაგანდა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის შესახებ.

ბოლნისის რაკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. ვ. კაპანაძე და თათბირის ზოგიერთი სხვა მონაწილე აღნიშნავდა, რომ იმ რაიონებში, სადაც წრეებისა და პოლიტსკოლების რაოდენობა მცირეა, აზრი არა აქვს პროპაგანდისტთა სემინარების შექმნას. ბოლნისის რაიონში რუსულ, ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე დაახლოებით ორ-ორი წრეა. პარტიის ბოლნისის რაიკომი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ცალცალკე ორი-სამი პროპაგანდისტისათვის სემინარების მოწყობა მიზანშეუწონელია. ამ სემინარების ყოფილ ხელმძღვანელებს წინადადება მიეცათ დაესწრონ წრეების თუ პოლიტსკოლების მეცადინეობას და ადგილზე გაუწიონ პროპაგანდისტებს კონკრეტული, კვალიფიციური დახმარება.

თათბირზე დიდი ყურადღება მიექცა ლექციური პროპაგანდის საკითხებს. ორატორები აღნიშნავდნენ, რომ იმ კომუნისტთა რიცხვის მკვეთრად გადიდება, რომლებმაც ისურვეს დამოუკიდებლად ისწავლონ, მოითხოვს ლექციური პროპაგანდის ძირეულ გარდაქმნას. შარშან პარტიულმა კომიტეტებმა ლექტორთა ჯგუფების მუშაობის ერთგვარ გაუმჯობესებას მიაღწიეს. მაგრამ ბევრი ლექციის იდეური დონე ჯერ კიდევ არ არის მაღალი.

ემზადებოდნენ რა ახალი სასწავლო წლისათვის, პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა გადასინჯეს ლექტორთა ჯგუფების შემადგენლობა, შეავსეს ისინი გამოცდილ პროპაგანდისტთა კადრებით. მსხვილ საწარმოებში, მტს-ებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შექმნილია მუდმივი ლექტორიუმები. მარტო აჭარაში წელს 54 ასეთი ლექტორიუმი იმუშავებს. ბევრ რაიონში ლექტორთა ჯგუფების ხელმძღვანელებად დამტკიცებული არიან პარტიის რაიკომების მდივნები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ლექციების ციკლის მომზადებას პარტიის თეორიისა და ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთა დასახმარებლად. უკანასკნელ ხანს ლექტორთა ჯგუფები უფრო აქტიურად ეწევიან ლექციების რეცენზირებასა და გარჩევას, რაც ხელს უწყობს მათი იდეური დონის ამაღლებას.

თათბირის მონაწილენი აღნიშნავდნენ, რომ ჯერ კიდევ ნაკლებად იკითხება ლექციები სამეცნიერო-ათეისტურ თემებსა და მშრომელთა ჯანსაღი ყოფაცხოვრების პროპაგანდის თემებზე. აღინიშნა რაიკომების ლექტორთა ჯგუფების, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილებებისა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან არსებულ კულტურის განყოფილებათა სალექციო ბიუროების მუშაობაში კოორდინაციის უქონლობა. ასეთი მდგომარეობა იმას იწვევს, რომ ზოგ თემაზე ბევრი ლექცია მზადდება, სხვა თემებზე კი ძალიან ცოტა. რესპუბლიკური ორგანიზაციები, რომლებიც ლექციურ პროპაგანდას ეწევიან, წინასწარ არ აცნობენ რაიონებს, თუ რომელ ლექტორებს გაგზავნიან და რა ლექციებით.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. ქ. ოტიაშვილი თავის გამოსვლაში დაწვრილებით შეეხო იმ ღონისძიებებს, რომლებსაც საქალაქო პარტიული ორგანიზაცია იღებს რაიკომებთან არსებულ პარტიულ ბიბლიოთეკათა საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

როგორც თათბირის მონაწილენი აღნიშნავდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მოახლოდა პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის დასაწყისი, საქართველოს წიგნის სავაჭრო ორგანიზაციებმა დღემდე ვერ შეიტანეს ქსელში საზოგადოებრივ „პოლიტსკოლების მსმენელთა დასახმარებლად“. რაიონების წიგნის მაღაზიებში არ არის მსოფლიოს პოლიტიკური რუკა და სხვა თვალსაჩინო ხელსაწყოები. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა რაიონებში აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე პოლიტიკური ლიტერატურის შეტანის მხრივ.

თათბირზე სამართლიანად გაკრიტიკებულ იქნა რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული პრესა. კამათში გამოსულნი აღნიშნავდნენ, რომ გაზეთები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ პარტიულ განათლებას. აშვიათად ქვეყნდება სტატიები საუკეთესო პროპაგანდისტთა მუშაობის გამოცდილების შესახებ, მეცადინეობის მეთოდური გარჩევა, ცოტა იბეჭდება პროპაგანდისტული სტატიები კომუნისტური პარტიის თეორიისა და ისტორიის შემსწავლელთა დასახმარებლად. პოლიტიკური სწავლებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხები თუმცა შუქდება, მაგრამ ზერელედ, საქმის ღრმა ცოდნის გარეშე.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორი ამხ. ვ. ესაიაშვილი, რომელმაც თათბირის მონაწილეებს მოუთხრო, თუ როგორ მუშაობს ინსტიტუტი მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების ქართულ ენაზე დასაბეჭდად მომზადებისათვის.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილემ ამხ. ვ. მერკვილაძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა სწავლის დაწყებამდე დარჩენილი დრო იმისათვის გამოიყენონ, რომ ორგანიზებულად მოემზადონ მეცადინეობისათვის.

სწავლებაში ნებაყოფლობითი პრინციპის მტკიცე დაცვა დიდ და პასუხსაგებ მოვალეობას აკისრებს პარტიულ ორგანიზაციებს. ახლა მათ მოეთხოვებათ მეტი მოქნილობა, ოპერატიულობა და ინიციატივა პროპაგანდისტული მუშაობისადმი ხელმძღვანელობაში. პარტიული პროპაგანდა ცოცხალი და შემოქმედებითი საქმეა. მისი უნარიანად ხელმძღვანელობა ნიშნავს ღრმად შეისწავლონ კომუნისტთა მოთხოვნილებანი, გაუღვიძო მათ ცოცხალი ინტერესი პოლიტიკური ცოდნისადმი.

თათბირზე აგრეთვე გამოვიდნენ პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგეები — პარტიის ბორჯომის რაიკომისა ამხ. შ. ტაბატაძე, პარტიის სტალინირის საქალაქო კომიტეტისა ამხ. შ. არჩვაძე, პარტიის ბოგდანოვკის რაიკომისა ამხ. ე. სავოიანი.

დასასრულ თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. დ. მჭედლიშვილმა.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეების რესპუბლიკური თათბირი დაეხმარება იმას, რომ უფრო ორგანიზებულად შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს პარტიული განათლების სისტემაში.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ 30 აგვისტოს ხმის დიდი უმრავლესობით უარყო პარიზის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა კარდახშულ სამხედრო დაჯგუფების შექმნას დასავლეთ ევროპის ექვსი სახელმწიფოსაგან (საფრანგეთი, დასავლეთი გერმანია, იტალია, ბელგია, ჰოლანდია, ლუქსემბურგი) ეგრეთწოდებული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ სახით. როგორც ცნობილია, აღნიშნული „გაერთიანების“ ჩრდილ იფარებოდა გეგმები, რომლებიც მიმართულია გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებისაკენ, რაც პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენს ევროპის ხალხებისათვის.

სახელმწიფოთა აღნიშნული სამხედრო დაჯგუფების შექმნის გეგმების ჩაშლა მხიშვნელოვანი მოვლენაა ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს ფაქტი იმას მოწმობს, თუ რაოდენ შეგნებული აქვთ საფრანგეთში საფრთხე, რომელიც დაკავშირებულია დასავლეთ გერმანიის დაქვეცვასთან მილიტარისტულ სახელმწიფოდ, რომლის ხელში გერმანელ რევანშისტთა ხელში იქნებოდა. იგი აგრეთვე ცხადყოფს, თუ რა სიმაღლეზე აღმოჩნდნენ საფრანგეთის პატრიოტული ძალები, რომლებმაც „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნა სამართლიანად მიიჩნიეს მომაკვდინებელ საფრთხედ საფრანგეთის სახელმწიფოს უშიშროებისათვის, საფრთხედ მისი დამოუკიდებლობისათვის. ამასთან დაკავშირებით საკმარისია აღინიშნოს, რომ პარიზის ხელშეკრულების მიღების შემთხვევაში, საფრანგეთს აღარ ეყოლებოდა თავისი ეროვნული არმია მისთვის, როგორც დიდი სახელმწიფოსათვის, აქედან გამომდინარე მთელი შედეგებით.

სახელმწიფოთა აღნიშნული სამხედრო დაჯგუფების ძირითადი ამოცანა იყო ეგრეთწოდებული „ევროპის არმიის“ შექმნა, რომლის მთავარი დამკვრელი ძალა იქნებოდა რემილიტარიზებული დასავლეთ გერმანიის შეიარაღებული ძალები ყოფილ ჰიტლერელი გენერლების მეთაურობით. ასეთი მდგომარეობა სერიოზული საფრთხე იქნებოდა ევროპის ხალხებისათვის და უწინარეს ყოვლისა გერმანიის მეზობელი სახელმწიფოებისათვის, რომელთა მიმართ გერმანელი მილიტარისტები არასოდეს არ მორიდებიან თავდასხმის სპბების გამოძებნას. ისტორიის გამოცდილება ცხადყოფს, რომ მილიტარისტული გერმანია უშუალო საფრთხეს წარმოადგენს პირველ რიგში საფრანგეთისათვის, რომელიც უკვე არაერთხელ გამხდარა გერმანიის აგრესიის ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი.

„ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ მომხრენი ცდილობდნენ მოეტყუებინათ ხალხები, მათ შორის საფრანგეთის ხალხიც, და საქმეს ისე სახავდნენ და სახავენ, თითქოს პარიზის ხელშეკრულება, რომელიც ჩაიფუშა, იმ შემთხვევაში, თუ მიღებული იქნებოდა, შესაძლებელს გახდიდა დასავლეთ გერმანიის შეიარაღებული ძალები რაღაც განსაზღვრულ ჩარჩოებში ჰყოლოდათ. მაგრამ ყოველ უწინაზრახვო ადამიანს ასეთი მტკიცების სიყალბე თვალში ეცემა. არა გვგონია, რომ ეს სწამდეთ იმათაც, ვინც ამას ამტკიცებს.

ყოველ შემთხვევაში ბონელი რევანშისტები, რომლებიც ამის შესახებ უფრო გულახდილი არიან, არ მალავენ, რომ ამ მტკიცებას ისინი სერიოზულ მნიშვნელობას არ აძლევენ და უკვე ახლა აშკარად განიხილავენ დასავლეთ გერმანიის არმიის შექმნის გეგმებს დივიზიების ისეთი რაოდენობით, რომელიც ბევრად სჭარბობს მათს იმ რაოდენობას, რაც ოფიციალურად გამოცხადდა. რაც შეეხება ყოველგვარ ფორმალურ პირობებს, რომლებიც დასავლეთ გერმანიას შეზღუდავდა მისი არმიის რაოდენობისა და შეიარაღების მხრივ, როგორც გამოცდილება ცხადყოფს, გერმანელი მილიტარისტები ნაკუწ-ნაკუწად გლეჯენ ყოველ შეთანხმებას, რომლის მონაწილენიც ისინი არიან, თუ ასეთი შეთანხმებანი გზას უღობავენ მათი აგრესიული გეგმების განხორციელებას.

გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება და რემილიტარიზებული დასავლეთ გერმანიის ჩახმა სამხედრო დაჯგუფებაში განუზომლად გაადიდებდა ევროპაში ახალი ომის საფრთხეს და ამით ახალი მსოფლიო ომის საფრთხესაც. საკმარისია მივმართოთ ევროპის ისტორიას, თუნდაც ამ უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე, რათა დავინახოთ, რომ მილიტარისტულმა გერმანიამ ამ პერიოდში ორჯერ გაჩაღა ომი, რომელმაც აუსაცხელი უბედურება მოუტანა ევროპის ხალხებს. ახლოვთ რა ეს მძიმე გაკვეთილები, ევროპის სახელმწიფოთა ხალხები, მათ შორის ფრანგი ხალხი, „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნის გეგმებს შეხვდნენ როგორც პირდაპირ საფრთხეს თავიანთი უშიშროებისათვის, ახალი ომის საფრთხეს ყველა მისი საშიში შედეგებით. ეს შეშფოთება ევროპის ხალხებისა, რომლებმაც სულ ცოტა ხნის წინათ განიცადეს მეორე მსოფლიო ომი, სავსებით გასაგებია, რადგან ახალ ომს მოჰყვება განუზომლად უფრო დიდი მსხვერპლი, მატერიალური და ადამიანთა მსხვერპლი, ვიდრე წარსულ ომებს. ეს მით უმეტეს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის გამოჩენასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით გასაგებია ის შეშფოთება, რომელსაც იჩენენ ევროპის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული რაიონების ხალხები, სადაც შედარებით მცირე ტერიტორიებზე თავმოყრილია სახელმწიფოთა სასიცოცხლო ცენტრები, მათ შორის უდიდესი ქალაქები, მატერიალური და სულიერი კულტურის მათი საუკუნეობრივი ძეგლებით.

გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების პოლიტიკის მომხრენი ცდილობენ საქმე ისე დასახონ, თითქოს დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია და მისი ჩახმა დასავლეთის სახელმწიფოთა ამა თუ იმ სამხედრო ბლოკში, განსაკუთებდა დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციებს საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებაში გერმანიის საკითხზე. მაგრამ ასეთ მტკიცებას არავითარი ნიადაგი არ მოეპოვება. სინამდვილეში საქმე სწორედ პირიქით არის. დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია და მისი ჩახმა ამა თუ იმ სამხედრო დაჯგუფებაში გადაულახავ დაბრკოლებებს უქმნის გერმანიის გაერთიანებას და, მაშასადამე, შეუძლებელს ხდის შესაბამისი შეთანხმების მიღწევას გერმანიის საკითხზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთიანი გერმანელი ერი ორ ნაწილად გათიშული დარჩებოდა განუსაზღვრელად დიდი ხნით, რაც უკვე თავისთავად ქმნის საშიშ მდგომარეობას ევროპაში მშვიდობის შენარჩუნების საქმისათვის, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ეს ეწინააღმდეგება გერმანელი ხალხის ინტერესებს და მის ბუნებრივ მისწრაფებას ეროვნული გაერთიანებისადმი.

„ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ ხელშეკრულების ჩაფუშვა უეჭველად სერიოზულ ლახვარს სცემს იმ პოლიტიკას, რომლის მიზანია შეიქმნას როგორც ევროპაში, ისე მსოფლიოს სხვა რაიონებში სახელმწიფოთა აგრესიული სამხედრო დაჯგუფებანი, პოლიტიკას, რომლის სულისჩამდგმელნი ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები არიან. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გეგეფიქრნა, რომ მას შემდეგ, რაც ასეთი პოლიტიკის ავტორებმა და მომხრეებმა ფრანგების მამაცური აქტის შედეგად ეს დამარცხება განიცადეს, შეიძლებოდეს მშვიდობის მტრების ხროკების მიმართ ხალხთა სიფხიზლის შენელება.

უკვე ახლა, როგორც ცნობილია, აშკარად განიხილავენ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების ახალ გეგმებს. დასავლეთის სახელმწიფოთა ოფიციალური წრეები გამალებით ავითარებენ საქმიანობას და ცდილობენ რაც შეიძლება მალე შეთანხმდნენ მოლაპარაკების წარმოებაზე, რათა შეიმუშაონ ახალი გეგმა დასავლეთის ქვეყნების სამხედრო ბლოკში დასავლეთ გერმანიის შეყვანის შესახებ. ცდილობენ რა „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ ნაცვლად შეაკოწიწონ დასავლეთის სახელმწიფოთა რაღაც ახალი კომბინაცია, ამჯერად ინგლისის მონაწილეობით, რაც შესაძლებელს გახდიდა დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის განხორციელებას, დასავლეთის სახელმწიფოთა მმართველი წრეები ამასთანავე გულმოდგინედ უვლიან დუმილით გვერდს საბჭოთა კავშირის ამა წლის 24 ივლისისა და 4 აგვისტოს წინადადებებს, რომლებიც ეხება გერმანიის საკითხს და ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის საკითხს.

დასავლეთ გერმანიაში მილიტარიზმის აღდგენის გეგმებში განსაკუთრებულ ადგილს უთმობენ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში დასავლეთ გერმანიის უშუალოდ შეყვანის გეგმას, რათა ამრიგად გზა გაუკაფონ მის რემილიტარიზაციას.

ისინი, ვინც ასეთ გეგმებს სახავს, არ მალავენ, რომ ეს გეგმები საჭიროა იმისათვის, რომ გვერდი აუარონ იმ დაბრკოლებებს, რომლებსაც საფრანგეთში წააწყდნენ პოლიტიკოსები „ძალის პოზიციისა“, რომელმაც დიდი ხანია სახელი გაიტეხა. სხვანაირად რომ ვთქვათ, საქმე ეხება იმას, რომ ამჯერად ერთი აგრესიული სამხედრო დაჯგუფების — „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ ნაცვლად შეაკოწიწონ დასავლეთის სახელმწიფოთა რაღაც ახალი კომბინაცია, ამჯერად ინგლისის მონაწილეობით, რაც შესაძლებელს გახდიდა დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის განხორციელებას, დასავლეთის სახელმწიფოთა მმართველი წრეები ამასთანავე გულმოდგინედ უვლიან დუმილით გვერდს საბჭოთა კავშირის ამა წლის 24 ივლისისა და 4 აგვისტოს წინადადებებს, რომლებიც ეხება გერმანიის საკითხს და ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის საკითხს.

ევროპის, [illegible] ასევე როგორც გერმანელი ხალხის ინტერესები, იმას მოითხოვს, რომ გერმანიის საკითხი გადაჭრას ერთიანი, მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული გერმანიის სახელმწიფოს შექმნის საფუძველზე, როგორც ეს გათვალისწინებულია სახელმწიფოთა სათანადო შეთანხმებებით. არ შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის პრობლემაზე შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობანი უკვე ამოწურულია. სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით, საბჭოთა მთავრობამ საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს მიმართა წინადადებით მოწვეულ იქნას ა. წ. აგვისტო-სექტემბერში ოთხი სახელმწიფოს ახალი თათბირი და ამ თათბირზე განხილულ იქნას გერმანიის საკითხი, რაზეც სამი სახელმწიფოს მთავრობისაგან დღემდე პასუხი მიღებული არ არის.

საფრანგეთის ეროვნული კრების მიერ „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ ხელშეკრულების უარყოფა ერთხელ კიდევ ცხადყოფს, თუ რაოდენ უცხოა ხალხების ინტერესებისათვის ევროპაში ერთმანეთისადმი დაპირისპირებული სახელმწიფოების სამხედრო დაჯგუფებათა შექმნის პოლიტიკა. გადაწყვეტილება საფრანგეთის პარლამენტისა, რომელმაც უცხოეთის უხეში ზეგავლენის პირობებში უარყო აღნიშნული ხელშეკრულება, დიდი პატრიოტული აქტია, რაც ნაკარნახევია საფრანგეთის ნამდვილი უშიშროების უზრუნველყოფის, მისი ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნების საჭიროებებით. საფრანგეთის ეს ეროვნული ინტერესები ემთხვევა და არ შეიძლება არ ემთხვეოდეს სრულიად ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის საჭიროებებს. სწორედ ამიტომ საფრანგეთის პარლამენტის აღნიშნულ გადაწყვეტილებას კმაყოფილებით შეხვდა ყველა, ვინც არა სიტყვით, არამედ საქმით ემხრობა ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას.

სრულიად ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესები მოითხოვს, რომ კარდახშულ სამხედრო დაჯგუფებათა შეკოწიწების ნაცვლად ევროპაში შეიქმნას კოლექტიური უშიშროების სისტემა ევროპის ყველა სახელმწიფოს მონაწილეობით, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა. სწორედ ამ მიზნებს შეესაბამება საბჭოთა კავშირის პროექტი „სრულიად ევროპის ხელშეკრულებისა ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ“ და სრულიად ევროპის თათბირის მოწვევა შესაბამის წინადადებათა განსახილველად.

ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა და ამ მიზნით სრულიად ევროპის ხელშეკრულების დადება ამ ხელშეკრულებაში აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის, ხოლო გაერთიანების შემდეგ — ერთიანი გერმანიის მონაწილეობით, შეამსუბუქებდა იმის შესაძლებლობას, რომ გერმანიის საკითხის გადაჭრას საფუძვლად დაედოს გერმანიის ეროვნული გაერთიანება მშვიდობისმოყვარულ და დემოკრატიულ საწყისებზე. ეს შეეფერება ევროპის ყველა სახელმწიფოს, მათ შორის აგრეთვე საფრანგეთის უშიშროების ინტერესებს, საფრანგეთისა, რომლის ბედი, როგორც დიდი სახელმწიფოსი, განუყოფელია მთლიანად ევროპის ბედისაგან. მხოლოდ ევროპის მშვიდობიანი განვითარება და ერთიანი და მშვიდობისმოყვარე გერმანიის შექმნა უზრუნველყოფს საფრანგეთისათვის დიდი სახელმწიფოს ღირსეულ ადგილს სხვა დიდ სახელმწიფოთა შორის. პირიქით, ევროპაში რომ შეიქმნას ერთმანეთისადმი დაპირდაპირებული სამხედრო ბლოკები და მის გულში რომ იქნეს მილიტარისტული დასავლეთი გერმანია, ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ საფრანგეთს მეორეხარისხოვანი სახელმწიფოს როლი განეკუთვნებოდა. საბჭოთა კავშირი ემხრობოდა და ემხრობა ძლიერ და დამოუკიდებელ საფრანგეთს, რადგან მხოლოდ ასეთი საფრანგეთი არის ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი.

ენენევის თათბირის გამოცდილებამ, რომელმაც დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში, ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ, თუ დაინტერესებულ სახელმწიფოებს ნამდვილად სურთ, არის შესაძლებლობა მიღწეულ იქნას

პრესის მიმოხილვა

გავაძლიეროთ სამეცნიერო-ათეისტური პროპაგანდა

არაჩვეულებრივი გამოცოცხლება იყო 19 აგვისტოს ლენინგორის რაიონის სოფელ იკოთის განაპირა უბანში. სოფლის მისასვლელი გზები სავსე იყო ხალხით, მოდიოდა ქალი და კაცი, დიდი და პატარა...

სად მიდიოდნენ? რას დღესასწაულობდნენ?

— ფერისცვალებას!

აღწერდა რა ამ სურათს ლენინგორის რაიონული გაზეთი **„სტალინელი“** გულისწყრომით აღნიშნავდა 22 აგვისტოს ნომერში:

„სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია რომ ჩვენი ადამიანების ერთ ნაწილში ჯერ კიდევ ღრმად აქვს გადგმული ფესვები ბრმა რელიგიურ რწმენას. ყველაზე მეტად საკვირველი კი ის არის, რომ ამ ადამიანების ფეხის ხმას შეუგნებლად აჰყოლია ახალგაზრდობის ერთი ნაწილი, რომელსაც მოსავლის აღებისა და ლეწვის ამ ცხარე დღეებში მიუტოვებია კოლმეურნეობები სამუშაო და აქ, რელიგიურ დღესასწაულზე მოსული დროს გასატარებლად“.

და გაზეთმა დაასახელა მათი გვარებიც. აი ისინიც: სოფელ უანჩავეთის საკოლმეურნეო პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი შაქრო ქესაური, სოფელ ახმაჯის სკოლის მოსწავლეთა პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი თამარ ჩაბოშვილი, დამზადებათა კომიტეტის სარწმუნებულოს პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ეთერ ზანგურაშვილი, სოფელ ნახიდის კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი კომკავშირის რაკომის წევრი გიორგი ბასილიძე, ახალდაბელი კოლმეურნე კომკავშირელ ჩერთკოევი და სხვები. ფერისცვალების დღესასწაულის დამსწრენი იმის მოწმენიც გახდნენ, რომ ღვინით გალეშილმა კომკავშირელებმა ირაკლი და რეზო ტატუნაშვილებმა, შაქრო ქესაურმა და იამა გიგაურმა ჩხუბი და აურზაური ატეხეს.

გაზეთი სამართლიანად დაასკვნის, რომ რელიგიური ცრურწმენით გონებადაბნელებულ ახალგაზრდებს კომკავშირთან საერთო არაფერი აქვთ.

თუ რა ზიანი მოაქვს რელიგიურ ცრურწმენებს კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისათვის, ამის შესახებ წერდა აგრეთვე ზნაურის რაიონული გაზეთი **„კოლხოზონ ცარდ“** („საკოლმეურნეო ცხოვრება“). ყორნისშა, წორბოსში, ბეყმარში და ზოგიერთ სხვა სოფელში 3 აგვისტოს ფართო ხასიათი მიიღო რელიგიურმა დღესასწაულმა კარსეთობამ. ამ დღეს კოლმეურნეთა დიდი ნაწილი არ გამოვიდა სამუშაოზე.

მოსახლეობის ზოგიერთ ჩამორჩენილ ნაწილში ფესვგადგმულ რელიგიურ ცრურწმენათა გამოვლინების ფაქტებზე მოგვითხრობენ აგრეთვე **„ახალი წყალტუბო“, „კოლმეურნის გზა“** (ბათუმი), **„სტალინური გზით“** (დუშეთი) და სხვა რაიონული გაზეთები.

ამ ბოლო ხანებში ზოგიერთ რაიონულ გაზეთში შედარებით გამოცოცხლდა სახუნებისმეტყველო-სამეცნიერო და სამეცნიერო-ათეისტური პროპაგანდა. ახალციხის რაიონული გაზეთი **„წითელი დროშა“** სისტემატურად აქვეყნებს სტატიებს რუბრიკით „საუბრები საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო თემებზე“. უკანასკნელი სამი თვის მანძილზე გაზეთში ცხრა ასეთი მასალა დაიბეჭდა. რაიონის კოლმეურნეობებმა და მტა-ის მუშაკებმა ინტერესით წაიკითხეს გაზეთში გამოქვეყნებული პოპულარული სტატიები ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერების კანდიდატის ი. ხრაბროვისა „ამინდი და მისი წინასწარმეტყველება“, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პ. ბარანოვისა „მცენარეთა სამყაროს წარმოშობისა და განვითარების შესახებ“, აკადემიკოს ვ. ობრუჩევისა „როგორ წარმოიქმნება მთები და კონტინენტები“, მოსკოვის პლანეტარიუმის მეცნიერი თანამშრომლის ი. შევლიაკოვისა „მეცნიერება სამყაროს აგებულების შესახებ“ და სხვ. მაგრამ აქვე უნდა ვუსაყვედუროთ „წითელ დროშას“, რომ მას ფურცლებზე, ისევე როგორც რესპუბლიკის ბევრ რაიონულ გაზეთში, არ ქვეყნდება ადგილობრივი მასალები, რომლებშიც ნაჩვენები იქნებოდა, თუ რა ზიანი მოაქვს რელიგიურ რწმენასა და ცრუ აზრებს.

ასეთივე საყვედური ეკუთვნის ზოგიერთ საქალაქო გაზეთსაც. ქ. ტყვარჩელში ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოჩნდა ეგრეთწოდებული „წმიდა წერილები“, რომელთა გავრცელებაში მონაწილეობდნენ ახალგაზრდები, მათ შორის კომკავშირელებიც. მაგრამ საქალაქო გაზეთ **„ტყვარჩელის მაღაროელს“** სიტყვაც არ დაუძრავს ამის შესახებ. საერთოდ სამეცნიერო-ათეისტური პროპაგანდა ამ გაზეთში მივიწყებული უბანია. „ტყვარჩელის მაღაროელი“ არ ბეჭდავს წერილებს სახუნებისმეტყველო-სამეცნიერო თემებზე, აგრეთვე აგიტაციურ მასალებს რელიგიის მავნეობის შესახებ. აგვისტოს პირველ რიცხვებში გაზეთმა მოათავსა სარედაქციო წერილი, რომელშიც ერთი ხელის მოსმით გააკრიტიკა სამეცნიერო-ათეისტური პროპაგანდის მოუგვარებლობისათვის ქალაქის აღმასკომის კულტურის განყოფილება, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ადგილობრივი განყოფილება, პარტიის ქალაქკომის ლექტორთა ჯგუფი, ქალაქის პარტიული ბიბლიოთეკა, მაღაროელთა, მშენებელთა და ენერგეტიკოსთა კლუბები და... თავისი მისია ამით ამოწურულად ჩათვალა.

სამეცნიერო-ათეისტური პროპაგანდისაგან განზე იდგა უკანასკნელ დრომდე გორის საქალაქო გაზეთი **„სტალინელიც“**. მხოლოდ ამ რამდენიმე დღის წინ გამოჩნდა გაზეთში მოწინავე წერილი ამ საკითხზე და ერთი სტატია სამეცნიერო თემაზე.

სახუნებისმეტყველო-სამეცნიერო და სამეცნიერო-ათეისტური პროპაგანდისადმი გაზეთების უდარდელი დამოკიდებულება არაფრით არ არის გამართლებული. თვითეული რაიონული და საქალაქო გაზეთის, ისევე როგორც მთელი ჩვენი პრესის ვალია სისტემატურად, გულმოდგინედ აწარმოონ სამეცნიერო-ათეისტური პროპაგანდა. არ კმარა მარტო სახუნებისმეტყველო-სამეცნიერო სტატიების და სხვადასხვა წყაროდან ამოღებული ანტირელიგიური ლიტერატურული მასალების ბეჭდვა. საჭიროა გაზეთებში უფრო მეტად ქვეყნდებოდეს წერილები და შენიშვნები ადგილობრივ თემებზე, რომლებშიც კონკრეტული ფაქტებით და მაგალითებით ნაჩვენები იქნება რელიგიის უსუსურობა, მეცნიერებისა და პრაქტიკის მონაცემებთან მისი აშკარა შეუსაბამობა.

ათეისტური პროპაგანდა პრესაში მეზრძოლ შემტევ ხასიათს უნდა ატარებდეს. გაზეთები დამაჯერებლად უნდა განუმარტავდნენ მშრომელებს რელიგიის რეაქციულ არსს, იმ მავნეობას, რაც მოაქვს რელიგიურ გადმონაშთებს. მთელი ეს მუშაობა გაზეთებმა საჭიროა აწარმოონ არა კამპანიურად, არამედ სისტემატურად, მთელი გამბედაობით, რისთვისაც ფართოდ გამოიყენონ სხვადასხვა საგაზეთო ჟანრი: პროპაგანდისტული წერილები და რეცენზიები ათეისტურ ლიტერატურაზე, ნარკვევები და ფელეტონები, კორესპონდენციები და შენიშვნები.

გაზეთები უნდა ეხმარებოდეს ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს ანტირელიგიური პროპაგანდის გაძლიერებაში.

ქალაქის და სოფლის მშრომელთა შორის საბუნებისმეტყველო-მეცნიერული ცოდნის გავრცელების საქმეში დიდი როლი აკისრიათ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს. რაიონულმა და საქალაქო გაზეთებმა უფრო ფართო ადგილი უნდა დაუთმონ კულტურის სახლების, კლუბების, საქითხველოების, ბიბლიოთეკების მუშაობას, ამხილონ ნაკლოვანებანი მათს საქმიანობაში, უჩვენონ დადებითი მაგალითები.

პირნათლად რომ შეასრულონ თავიანთი საპატიო ამოცანები სამეცნიერო-ათეისტური პროპაგანდის დარგში, გაზეთებმა თავიანთ გარშემო უნდა შემოიკრიბონ ფართო აქტივი ლექტორთა, პროპაგანდისტთა, მასწავლებელთა, ექიმთა, აგრონომთა და ინტელიგენციის სხვა წარმომადგენელთა რიგებიდან.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სემინარი

ქალუბნარი. პარტიის რაიკომმა მოაწყო რაიონის საწარმო-დაწესებულებათა და კოლმეურნეობათა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სემინარი. სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებები შემდეგ თემებზე: „პირველადი პარტიული ორგანიზაციების ამოცანები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში“, „პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის დაყენების შესახებ“, „მოსახლეობაში საგიტაციო-პროპაგანდისტული და კულტურულ-მასობრივი მუშაობის წარმოება“, „პროფკავშირული, კომკავშირული და ნებაყოფლობითი ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ფორმები და მეთოდები“, „სამეურნეო საქმიანობასთან პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შეხამების შესახებ“.

სემინარის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი მუშაობის გამოცდილება.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სემინარები მოაწყეს აგრეთვე პარტიის **ცაგერის** და **წალენჯიხის** რაიკომებმა და **ტყვარჩელის** საქალაქო კომიტეტმა.

თელავის რაიონში

სამხატვრო გამოფენა

თელავის ს. ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო თეატრში მოეწყო საქართველოს მხატვართა ნაწარმოებების მოძრავი გამოფენა. ნაჩვენები იყო ფერწერის, გრაფიკისა და ქანდაკების 100-მდე ნაწარმოები.

ხუთი დღის განმავლობაში გამოფენა შვიდი ათასმა კაცმა დაათვალიერა.

მარმარილოს ფხვნილის საამქრო

წოპის გორაზე მარმარილოს ზოდების (ბლოკების) ამოღება-გათლისას დიდძალი ნარჩენი გროვდება. უკანასკნელ დრომდე იგი ხევში იყრებოდა, ახლა კი მას აგროვებენ და თელავში ეზიდებიან. ფიქალ-მარმარილოს მადნეულთა სამმართველომ რკინიგზის თელავის სადგურის მახლობლად მოაწყო მარმარილოს ნარჩენების სამტვრევი საამქრო.

საამქრო დღეში უშვებს 20 ტონაზე მეტ ფხვნილს. უკვე გამოშვებულია პირველი ორასი ტონა.

ხე-ტყე კოლმეურნეოებებს

ცაკავშირის „საკოოპტყემშენვაჭრობის“ კაცრეთის სარაინთაშორისო ბაზის თელავის ფილიალი ყვარლის, ახმეტის, თელავისა და გურჯაანის რაიონებს ემსახურება. აქედან კოლმეურნეობები იძენენ მასალებს საკოლმეურნეო ფერმების, საწყობების და სხვა ნაგებობათა მშენებლობისათვის. წელს კოლმეურნეობებმა ათას კუბურ მეტრზე მეტი მასალა შეიძინეს. ყველაზე მეტი მასალა შეიძინეს ყვარლის რაიონის ახალსოფლის მოლტოვის და თელავის რაიონის აკურის კოლმეურნეობებმა.

ყურძნის საადრეო ჯიშები

საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თელავის ზონალური საცდელი სადგურის ვენახებში, სადაც ათასამდე ვაზის ჯიშია დარგული, რთველი ივლისის ბოლოს დაიწყო. ყველაზე უწინ სუფრის თეთრი ჯიშის „ხალილი“ დამწიფდა, შემდეგ შავი ყურძენი „ყარაჯიჯიგი“, „ქართული საადრეო“ და „ეზანდარი“.

ყურძნის საადრეო ჯიშებიდან ყველაზე მეტი მოსავალი „ხალილიდან“ მიიღეს. თვითეულ ვაზზე 6-7 კილოგრამი ყურძენი დაკრეფეს.

ბიბლიოთეკა მარმარილოს მუშაკებისათვის

მარმარილოს კარიერები სოფელ ლაფანყურს დიდი მანძილით არის დაშორებული. მუშა-მოსამსახურეებისათვის იქ ჩასვლა და წოგნები სარგებლობა ძნელი იყო, თელავის რაისახკომს აღმასკომის კულტურის განყოფილებამ მუშა-მოსამსახურეთა სამართლიანი მოთხოვნა დააკმაყოფილა და ბიბლიოთეკა წოპის გორაზე გახსნა. აქ უხვად არის მხატვრული, პოლიტიკური, ტექნიკური და სხვა ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები.

მარმარილოს წარმოების მუშაკები ბიბლიოთეკის ხშირი სტუმრები არიან.

ს. ქოჩლაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

წარჩინებული ტრაქტორისტები

გურჯაანი. (საკ. კორ.). გურჯაანის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში ბევრი მოწინავე მექანიზატორია. მაგრამ მათგან პირველ რიგში ვალერიან დათუკიშვილმა და მიხეილ ორთოიძემ მოიხვეჭეს სახელი. ისინი „ს-80“ მარკის ტრაქტორით უმეტესად ვენახის პლანტაჟს ამზადებენ. 50 სანტიმეტრის სიღრმეზე ხნავენ დიდად დასარევლიანებულ ნაკვეთებს.

ვ. დათუკიშვილმა წლიური გეგმა ვადამდე გადამეტებით გაანაღდა. 871 ჰექტარის ნაცვლად რბილ ხვნაზე გადაყვანით 1.456 ჰექტარი სამუშაო შეასრულა და 2.957 კილოგრამი სუფთა დაზოგა. მ. ორთოიძემ თავის ცვლაში (რბილ ხვნაზე გადაყვანით) გეგმის გადამეტებით 582 ჰექტარი მოხნა, ამასთან 2.886 კილოგრამი საწვავი დაზოგა.

მისალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი, მიღებული საზეიმო სხდომაზე სოფიაში 9 სექტემბერს

სოფია, 9 სექტემბერი. (საკადესი). გუშინ გამართულ საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა ბულგარეთის გათავისუფლების მე-10 წლისთავს, მიღებულ იქნა შემდეგი მისალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი:

ძვირფასო ამხანაგებო!

საქალაქო სახალხო საბჭოს, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის საქალაქო კომიტეტისა და სამამულო ფრონტის საქალაქო კომიტეტის საზეიმო სხდომა სოფიის პროფესიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სახალხო არმიის წარმომადგენლებთან ერთად, რომელიც მოწვეულ იქნა 9 სექტემბრის სახელოვანი სახალხო აჯახუების და ფაშიზმისა და იმპერიალისტური მონობისაგან ბულგარეთის განთავისუფლების მე-10 წლისთავის გამო, მგზნებარე სალამს გიძღვნით.

თავისი დიდი და ნათელი ეროვნული დღესასწაულის დღეს ბულგარელი ხალხი უსაზღვრო სიყვარულსა და მადლობას უძღვნის დიდ საბჭოთა ხალხს, მის სახელგანთქმულ არმიას, საბჭოთა კავშირის სახელოვან კომუნისტურ პარტიას, რომლებსაც უწინარეს ყოვლისა უნდა უმადლოდეს იმ სიხარულსა და ბედნიერებას, რომ თავისუფალია და აშენებს თავის ახალ ცხოვრებას საკუთარი ნებისა და ინტერესების შესაბამისად.

1944 წლის 9 სექტემბრით აღინიშნა ბულგარელი ხალხის ცხოვრებაში ახალი ეპოქის, სოციალისტურ გარდაქმნათა ეპოქის დაწყება. 10 წლის განმავლობაში ჩვენი ხალხი კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით მტკიცე რწმენით მიდის წინ სოციალიზმის გზით და თავის ისტორიაში უმაგალითო წარმატებანი მოიპოვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. განვლილი ათეული წელიწადი შრომითი ეპოპეაა, რომელმაც სახე შეუცვალა ჩვენს სამშობლოს. წარსულს ჩაბარდა ეკონომიურად სუსტი, გაძარცული და ნახევრადმეერი ბულგარეთი. ამ წლებში იგი ავითარებდა თავის საწარმოო ძალებს და გადაიქცა მტკიცე, სიცოცხლისუნარიან სოციალისტურ სახელმწიფოდ, რომელსაც აქვს განუწყვეტლივ [illegible] ინდუსტრია და მსხვილი მექანიზებული სოფლის მეურნეობა.

ჩვენ ნათლად გვაქვს შეგნებული, რომ ჩვენი ხალხის თავდადებული შრომა ვერ მოგვცემდა ისეთ უხვ ნაყოფს სოციალისტურ მშენებლობაში, ჩვენი ქვეყანა წარმატებით ვერ განვითარდებოდა როგორც სოციალისტური ქვეყანა, რომ არ ყოფილიყო საბჭოთა კავშირის ძმური უანგარო ფასდაუდებელი დახმარება და მხარდაჭერა, რომ არ ყოფილიყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხების დაუშრეტელი გამოცდილება და რომ არ ყოფილიყო თანამშრომლობა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან.

ამ ძმური დახმარებისა და მხარდაჭერისათვის, ძვირფასო ამხანაგებო, სულით და გულით გიძღვნით თქვენ და მთელ საბჭოთა ხალხს უსაზღვრო მადლობას, შვილობრივ სიყვარულსა და მადლიერებას. მთელმა ჩვენმა განვითარებამ განვლილ 10 წელიწადში დაადასტურა, რომ ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობაა ყოველი ჩვენი წარმატების საფუძველი, ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობისა და ჩვენი სამშობლოს სოციალისტური განვითარების მზე და ჰაერი.

ჩვენი სამშობლო თავისი თავისუფალი ცხოვრების მეორე ათეულ წელიწადში შედის ამაყი და პატივცემული, დიდ საბჭოთა კავშირთან წმიდა და გულწრფელი მეგობრობით სამუდამოდ დაკავშირებული. ჩვენ მშვიდად და რწმენით ვიცქირებით წინ და გამსჭვალული ვართ ურყევი ნებით — მთელი ჩვენი ძალები მოვახმაროთ ხალხებისათვის დიადი და წმიდა მშვიდობის საქმეს, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებას.

გაუმარჯოს დიად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — მთელი მსოფლიოს მშვიდობის ურყევ სიმაგრეს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის ბოწინავე რაზმს!

დაე მტკიცდებოდეს და ჰყვაოდეს საუკუნეებში ბულგარელ და საბჭოთა ხალხების ცხოველმყოფელი მეგობრობა!

ბულგარეთის ეროვნული დღესასწაული

სოფია, 9 სექტემბერი. (საკადესი). დღეს ბულგარელი ხალხი დღესასწაულობს ფაშისტური მონობისა და უცხოეთის ოკუპაციისაგან თავისი სამშობლოს განთავისუფლების მეათე წლისთავს. ბულგარეთის ყველა ქალაქში გაიმართა მშრომელთა მსობრიები დემონსტრაციები.

ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გაიმართა სამხედრო პარადი და დემონსტრაცია. დღის 8 საათია. 9 სექტემბრის მოედანზე, გიორგი დიმიტროვის მავზოლეუმის ტრიბუნაზე ავიდნენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ჩერვენკოვი, სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. დამიანოვი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ა. იუგოვი, გ. ტრაიკოვი, გ. ჩანკოვი, ი. მიხაილოვი, რ. დამიანოვი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტოდორ ჟივკოვი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები გ. ცანკოვი და ე. სტაიკოვი, საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრები მ. ზ. საბუროვის მეთაურობით, ჩინეთის მთავრობის დელეგაციის ხელმძღვანელი — სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერის მოადგილე დუნ ბი-უ, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მთავრობათა დელეგაციების ხელმძღვანელები, სსრ კავშირის ელჩი ბულგარეთში ი. კ. პრიხოდოვი, რომლებსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

სოფიის გარნიზონის ნაწილების სამხედრო პარადი მიიღო სახალხო თავდაცვის მინისტრმა გენერალ-პოლკოვნიკმა პეტრე პანჩევსკიმ. ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის დავალებით მან მიულოცა ჯარებს ბულგარეთის მშრომელებსა და უცხოელ სტუმრებს 9 სექტემბრის დღესასწაული და გულთბილად მიესალმა მათ.

9 საათზე დაიწყო მშრომელთა დემონსტრაცია. დემონსტრაციაში მონაწილეობდა სოფიის 300 ათასამდე მშრომელი. მათ გამოთქვეს სიყვარული და მადლობა ბულგარელი ხალხის განმათავისუფლებლის დიდი საბჭოთა კავშირისადმი, გამოხატეს მისწრაფება განამტკიცონ ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის ცხოველმყოფელი მეგობრობა, იბრძოლონ სოციალიზმის მშენებლობაში ახალი წარმატებებისათვის, ბულგარეთის ეკონომიკისა და კულტურის ახალი აღმავლობისათვის, მშვიდობისათვის და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის.

კრიტიკა და გიბლიოგრაფია

წიგნი შემეცნების პროცესში პრაქტიკის როლის შესახებ

„ყველა მისტერია,—წერდა მარქსი, — რომელსაც თეორია მისტიციზმისკენ მიჰყავს, თავის რაციონალურ ახსნას პოულობს ადამიანის პრაქტიკასა და ამ პრაქტიკის გაგებაში“. ამ ცნობილი თეზისიდან ნათლად ჩანს, თუ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თვითონ მარქსი საზოგადოებრივ პრაქტიკას და მის სწორ გაგებას ადამიანის თეორიული, შემეცნებითი მოღვაწეობის მეცნიერული გაგების საქმეში.

შემეცნების პროცესში პრაქტიკის როლის — შემეცნების მარქსისტულ-ლენინური თეორიის ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხის გაშუქებისაკენ მიძღვნილია ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის ა. ცომინტის ახლახან გამოსული შრომა „პრაქტიკის როლი შემეცნების პროცესში“.

წიგნი შესავლისა და სამი თავისაგან შედგება. შესავალში ავტორი გვიჩვენებს მარქსამდელი ფილოსოფიის უძლურებას — მოეცა საზოგადოებრივი პრაქტიკის, როგორც შემეცნების საფუძვლისა და ობიექტური კრიტერიუმას, მეცნიერული ცნება. ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ საზოგადოებრივი პრაქტიკის მეცნიერული ცნება პირველად მხოლოდ მარქსმა და ენგელსმა დაადგინეს, რითაც ძირეული ბრეიკი მოახდინეს შემეცნების თეორიაში. ამასთან ავტორი გვიჩვენებს იმ საერთო და განმასხვავებელ, სპეციფიკურ ნიშნებს, რომლებიც ახასიათებენ ადამიანის თეორიულ და პრაქტიკულ მოღვაწეობას. პრაქტიკის ცნების განსაზღვრასთან დაკავშირებით ავტორი შრომაში ატარებს იმ თვალსაზრისს, რომ პრაქტიკა არის ადამიანთა საწარმოო-მატერიალური მოღვაწეობა, რომელიც ობიექტურად არსებული სინამდვილის გარდაქმნისაკენ არის მიმართული. პრაქტიკის ცნების განსაზღვრასთან დაკავშირებით ავტორი აღნიშნავს, რომ, მართალია, ადამიანის შრომითი-საწარმოო მოღვაწეობა ადამიანის პრაქტიკული მოქმედების ყველაზე არსებით და ძირითად ფორმას წარმოადგენს, მაგრამ სრულიადაც არ ამოიწურება ამით. საზოგადოებრივი პრაქტიკის მარქსისტულ ცნებაში შედის და იგულისხმება აგრეთვე ადამიანის მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობის სხვა ფორმები: კლასობრივი ბრძოლა (ანტაგონისტურ საზოგადოებაში), ადამიანთა მოღვაწეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში, კულტურისა და ყოფაცხოვრების სფეროში.

სარეცენზიო შრომის პირველ თავში — „საზოგადოებრივი პრაქტიკა როგორც შემეცნების საფუძველი და წყარო“ ავტორი არკვევს მეცნიერული შემეცნების შესაძლებლობისა და მისი განხორციელების ობიექტური და სუბიექტური პირობების საკითხს და გვიჩვენებს, რომ მეცნიერული შემეცნების განხორციელების ყველაზე არსებით და გადამწყვეტ პირობას საზოგადოებრივი პრაქტიკა წარმოადგენს, რადგან შემეცნების ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი — შემეცნების სუბიექტი საზოგადოებრივი პრაქტიკის საფუძველზე იქმნება და ყალიბდება, ხოლო თვით სინამდვილე, როგორც შემეცნების ობიექტი, ადამიანს მხოლოდ იმავე პრაქტიკის საფუძველზე ეძლევა.

ამავე თავში ავტორი იძლევა ყალბი თეზისის—შემეცნების პროცესის, საზოგადოებრივი პრაქტიკისაგან დამოუკიდებელი, თვითკმარი განვითარების თეზისის გამართლებისათვის იდეალიზმის მიერ წამოყენებული „არგუმენტების“ კრიტიკას. ავტორი არ კმაყოფილდება ზოგადი დებულების წამოყენებით საზოგადოებრივი პრაქტიკის როგორც შემეცნების საფუძვლისა და წყაროს შესახებ, არამედ ნათლად ხსნის და ასურათებს მას საზოგადოებრივი პრაქტიკის საფუძველზე მეცნიერების მრავალფეროვანი დარგების წარმოშობისა და მათი ისტორიული განვითარების მაგალითებით.

ნაშრომის მეორე თავში — „საზოგადოებრივი პრაქტიკა შემეცნების ობიექტური კრიტერიუმია“ ავტორი გვიჩვენებს სუბიექტური იდეალიზმის, კერძოდ, მახისტური ფილოსოფიის მიერ წამოყენებული ჰიშმარიტების კრიტერიუმის („აზროვნების ეკონომიის პრინციპი“) ანტიმეცნიერულ ხასიათს. მხოლოდ მარქსისტულმა ფილოსოფიამ, — წერს ავტორი, — აღმოაჩინა და მეცნიერულად დაასაბუთა ჰიშმარიტების, ჩვენი ცოდნის საგნობრიობის ობიექტური კრიტერიუმი საზოგადოებრივი პრაქტიკის სახით, რომელიც ადამიანს შესაძლებლობას აძლევს შეამოწმოს მისი ცოდნის სისწორე — სინამდვილესთან შესაბამისობა, გაარჩიოს ჭეშმარიტება მცდარობისაგან, დაზუსტოს და შემდეგ სრულყოს მისი ცოდნა გარემომცველი სამყაროს შესახებ.

შემეცნების მიმართ პრაქტიკის ორმხრივი დამოკიდებულების (წყარო და კრიტერიუმი) საკითხის ანალიზთან დაკავშირებით ავტორი გვიჩვენებს იმ პრინციპულ განსხვავებასა და წინააღმდეგობას, რომელიც არსებობს პრაქტიკის პრაგმატისტულ და მარქსისტულ ცნებებს შორის, იძლევა პრაგმატიზმის, როგორც სუბიექტური იდეალიზმის ერთ-ერთი სახეობის, რეაქციული არსის დამაჯერებელ კრიტიკას.

შრომის უკანასკნელ, მესამე თავში — „თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა კომუნისტური პარტიის გზის მანათობელი ვარსკვლავია“—ავტორი ხაზს უსვამს იმას, რომ თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის პრინციპი, რომელსაც დიდმა სტალინმა „პროლეტარიატის პარტიის გზის მანათობელი ვარსკვლავი“ უწოდა, უშუალოდ გამომდინარეობს მარქსიზმის, როგორც სინამდვილის რევოლუციურად გარდამქმნელი ფილოსოფიის, რევოლუციური კრიტიკული არსიდან. ავტორი ამასთან ერთად გვიჩვენებს, მშობლიური კომუნისტური პარტია როგორ ხელმძღვანელობს ამ პრინციპით მშრომელი ხალხის ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის ხრძოლაში. წიგნის ამ თავში განხილულია პარტიის XIX ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებანი.

ა. ციმინტიას შრომა „პრაქტიკის როლი შემეცნების პროცესში“ მეცნიერულ-პოპულარული ფორმით არსებითად სწორად გადმოსცემს მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის ძირითად პრინციპებს პრაქტიკის როლზე შემეცნების პროცესში. მაგრამ ზემოაღნიშნულ ღირსებათა მიუხედავად, სარეცენზიო შრომა თავისუფალი არ არის ზოგიერთი შეცდომისა და ნაკლისაგან. მასში გვხვდება ცალკეული არაზუსტი, ხოლო აქა-იქ არასწორი გამოთქმები და დებულებები. ზოგიერთ დებულებათა აზრი არასაკმაოდ არის გახსნილი და განვითარებული.

შრომის მე-8 გვერდზე ავტორი წერს: „ობიექტი მისთვის (ჰეგელისათვის. გ. მ.) არის... არა გრძნობადი საგანი, არამედ წარმოდგენაში არსებული საგანი“. ავტორის ეს დებულება არ არის სწორი, რადგან: ჰეგელისათვის შემეცნების საგანი არის არა წარმოდგენაში, თუნდაც ფანტასტიკურ წარმოდგენაში არსებული საგანი, არამედ ობიექტურად არსებული აბსოლუტური იდეა, რომელიც ამასთან ერთად აბსოლუტური სუბიექტიც არის და რომელსაც შემეცნების საგნად აქვს არა გარეშე, მისგან განსხვავებული და მისდამი დაპირისპირებული საგანი, არამედ თვითონ თავისი თავი. ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ ავტორი, განიხილავს რა შემმეცნებელი სუბიექტის ცნებას ჰეგელის შრომებში, არ აღნიშნავს, თუ სახელდობრ რა იგულისხმება შემმეცნებელი სუბიექტის ჰეგელიანურ ცნებაში, რის გამო მკითხველისათვის გაუგებარი რჩება ის, რითაც სუბიექტის ჰეგელიანური ცნება განსხვავდება სუბიექტის მარქსისტული და აგრეთვე სუბიექტურ-იდეალისტური ცნებებისაგან.

მართალია, ავტორი შრომაში ატარებს არსებითად სწორ თვალსაზრისს საზოგადოებრივი პრაქტიკის შესახებ, მაგრამ შრომის შესავალ ნაწილში იძლევა პრაქტიკის ცნების არაზუსტ განსაზღვრას. ავტორი წერს: „პრაქტიკა ადამიანთა ისეთი მოქმედებაა, რომელიც ობიექტურად არსებული სინამდვილის გარდაქმნას წარმოადგენს“ (გვ. 15). პრაქტიკის ცნების ასეთი განსაზღვრის დროს იხსნება სპეციფიკა ადამიანის პრაქტიკულ და თეორიულ მოღვაწეობას შორის, პრაქტიკის ცნებაში ექცევა ადამიანის თეორიული მოღვაწეობაც, რადგან ისიც სინამდვილის გარდაქმნისაკენ მიმართულ მოქმედებას წარმოადგენს.

შრომის 50-ე გვერდზე ვკითხულობთ: „აზრი, აზროვნების შინაარსი ტვინის ფუნქციაა და მას მისგან დამოუკიდებელი არსებობა არ გააჩნია“. აქ ავტორი ერთმანეთში ურევს ორ სხვადასხვა ცნებას: კერძოდ, აზროვნების **შინაარსისა** და აზროვნების **არსებობის** ცნებებს. მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის დებულება: აზროვნება ტვინის ფუნქციაა — იმ ჭეშმარიტებას აღნიშნავს, რომ აზროვნება ტვინისაგან დამოუკიდებლად არ არსებობს, რომ იგი მხოლოდ მატერიალური სინამდვილის ამ სპეციფიკური ფორმის რეალური თვისებაა. ხოლო რაც შეეხება აზროვნების შინაარსს, იგი არის არა ტვინის ფუნქცია, არამედ ობიექტური სინამდვილის განზოგადებული და გაშუალებული ასახვა იმავე აზროვნების საშუალებით.

„...ტექნიკას, — წერს ავტორი, — **მხოლოდ** (ხაზი ჩემია. გ. მ.) მეცნიერების განვითარების ბაზაზე შეუძლია გაიზარდოს და განვითარდეს“ (გვ. 90). ავტორის ამ კატეგორიული დებულების მიხედვით მეცნიერებას ტექნიკის განვითარების საქმეში განმსაზღვრელი როლი აქვს მინიჭებული, მაშინ როცა როგორც ტექნიკის, ისე თვით მეცნიერების განვითარების გადამწყვეტ საფუძველს ადამიანის საწარმოო-მატერიალური მოღვაწეობა წარმოადგენს, რაც თვითონ ავტორს სხვა ადგილას კარგად აქვს ნაჩვენები.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა მიუხედავად, სარეცენზიო შრომა დახმარებას გაუწევს მარქსისტულ-

ნერუს განცხადება

დელი, 10 სექტემბერი. (საკდესი). როგორც დელის რადიო იუწყება, ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ საუზმის დროს, რომელიც მის პატივსაცემად გამართა დელის ჟურნალისტთა ორგანიზაციამ, განაცხადა, რომ მანილაში ხელმოწერილი სამხედრო პაქტი „საფრთხეს უქმნის მშვიდობის საქმეს“, რადგან „განსაზღვრული გადაწყვეტილებანი მიღებულ იქნა ძირითადად არა აზიური ქვეყნების მონაწილეობით“. ნერუმ აღნიშნა ისეთი მდგომარეობის უაზრობა, როცა „ზოგიერთი ქვეყანა ერთიანდება სხვა ქვეყნების დასაცავად, რომლებიც საქვეყნოდ აცხადებენ, რომ მათ არ სურთ ეს დაცვა. მიუხედავად ამისა ეუბნებიან, რომ მათ მაინც დაიცავენ“.

ახლა, განაგრძო ნერუმ, როცა ფართო მასებს ყველგან სურთ მშვიდობა, ყოველი ნაბიჯი, რომელსაც შეუძლია შეცვალოს ეს განწყობილება, ფრიად სამწუხაროდ გვეჩვენება.

ნერუმ განაცხადა, რომ მისი აზრით, ხელმოწერილი ხელშეკრულება ხელს ვერ შეუწყობს უშიშროების განმტკიცებას.

ლაიპციგის ბაზრობაზე

ლონდონი, 8 სექტემბერი. (საკდესი). ინგლისის გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის“ სპეციალური კორესპონდენტი ლაიპციგის ბაზრობაზე იუწყება, რომ ბაზრობის ინგლისელ მონაწილეებსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სავაჭრო ორგანიზაციებს შორის იღება სავაჭრო გარიგებანი. „მაგალითად, — წერს კორესპონდენტი, — ერთი ქიმიური ფირმა ამთავრებს მოლაპარაკებას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დაახლოებით 1 მილიონი ფუნტი სტერლინგის საიმპორტო-საექსპორტო გარიგებათა დადების შესახებ. საფეიერო ფირმების ერთი ჯგუფი აპირებს კონტრაქტი დადოს ჩეხოსლოვაკიის ორგანიზაციასთან 100 ათასი ფუნტ სტერლინგის ქსოვილების შესყიდვასა და შალეულის მიყიდვაზე.

„ტაიმსის“ სპეციალური კორესპონდენტი ლაიპციგის ბაზრობაზე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სამრეწველო ნაკეთობებს, რომლებიც გამოფინეს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებმა.

ბაზრობანი აღმოსავლეთში

ტირანა, 10 სექტემბერი. (საკდესი). ქალაქებში შკოდრასა და ფიერში გაიხსნა ბაზრობანი, რომლებშიც მონაწილეობენ სახელმწიფო და კოოპერაციული სავაჭრო ორგანიზაციები, სამიწათმოქმედო კოოპერატივები, აგრეთვე ერთპიროვნული გლეხები. შკოდრის ბაზრობაზე გაიხსნა 60 პავილიონი. განსაკუთრებით ბევრი მჭიდველია შალს, ბამბის ქსოვილებისა და მზა ტანსაცმლის პავილიონებში, აგრეთვე ავეჯისა და საოჯახო ნივთების პავილიონში. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასები საშუალოდ 15 პროცენტით ნაკლებია ჩვეულებრივ საბაზრო ღირებულებათან შედარებით.

უახლოეს ხანში ბაზრობა გაიმართება აგრეთვე ელბასანსა და ვლორში.

გომინდანელთა თვითმფრინავების თავდასხმები ჩინეთის ტერიტორიაზე

პეკინი, 9 სექტემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, გრძელდება ჩანკაიშელთა ავიაციის პროვოკაციული თავდასხმები ქალაქ ამოიზე და ფუძიანის პროვინციის სხვა პუნქტებზე. 8 სექტემბერს ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის საზენიტო ნაწილებმა ჩამოაგდეს ან დააზიანეს გომინდანელთა 6 თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქ ამოისა და მის მიდამოებზე თავდასხმებში.

გომინდანელთა პროვოკაციები გრძელდება

პეკინი, 10 სექტემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება, რომ 9 სექტემბერს 1 საათსა და 45 წუთზე გომინდანელთა ბომბდამშენი „B-25“ გამოჩნდა ქალაქ ამოის თავზე და ორი ბომბი ჩამოაგდო. 5 საათსა და 30 წუთზე გომინდანელთა „F — 47“ მარკის ექვსი თვითმფრინავი გამოჩნდა ამოის თავზე და ოთხი ბომბი ჩამოაგდო. საზენიტო არტილერიამ ამ თვითმფრინავებიდან ერთი ჩამოაგდო და მეორე დაზიანა.

8 სექტემბერს საღამოს გომინდანელთა თვითმფრინავი აგრეთვე გამოჩნდა ამოის თავზე, მაგრამ საზენიტო არტილერიის ცეცხლით გაძევებულ იქნა.

მიწისძვრა ალჟირში

პარიზი, 9 სექტემბერი. (საკდესი). 8 სექტემბერს ღამით მოხდა ძლიერი მიწისძვრა, რომლის ეპიცენტრი მდებარეობს ქალაქ ორლეანსვილის რაიონში. არის მრავალი მსხვერპლი და დიდი მატერიალური ზარალი. როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, წინასწარი მონაცემებით, ორლეანსვილსა და მის გარეუბნებში დაღუპა 800-მდე კაცი. არის 1000-ზე მეტი დაჭრილი. ქალაქში დანგრეულია ბევრი შენობა, მათ შორის ვაგზალი, ფოსტა, სავადმყოფო და საცხოვრებელი სახლები. ტელეგრაფისა და ტელეფონის კავშირი ქალაქთან გაწყვეტილია. ორლეანსვილის გარეუბნებში მთლიანად დაინგრა ან ძლიერ დაზიანდა ათობით სოფელი. ბევრი მცხოვრები დარჩა უსახლკაროდ.

როგორც ფრანს პრესის სააგენტო აღნიშნავს, მოზდარი მიწისძვრა ყველაზე ძლიერი მიწისძვრაა ჩრდილოეთ აფრიკაში უკანასკნელი 40 წლის მანძილზე.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ბერლინი, 10 სექტემბერი. (საკდესი). აღნის საგენტომ გადასცა კომუნიკე, რომ 8-9 სექტემბერს გაიმართა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-20 პლენუმი. პლენუმზე ცენტრალური კომიტეტის მე-19 პლენუმის შემდეგ განვლილ პერიოდში გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ა. ნო